საგადახდო დავალება N1

"19" აგვისტო 2014 წელი

რეფერენსი
2944328710

გადამხდელის დასახელება: შპს იბერია 2012

ანგარიში (დებეტი) GE61BG0000000283860900
(ძველი ანგ.)

თანხა
4000-00

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი
BAGAGE22

თანხა სიტყვებით
ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება: შპს იბერია 2012

საიდენტ. კოდი 404927228

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი) 300773263

მიმღების ბანკი:
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი
TRESGE22

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 19.08.14

გატარებულია ბანკის მიერ: 19.08.14

ხელმოწერა

გადახდის დანიშნულება: დადგენილება #000285 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

დამატებითი ინფორმაცია:

ბეჭდის ადგილი

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი

ბ.ა.

მთ. ბუღალტერი

NATIONAL BANK OF GEORGIA
976 BAGAGE22

1289323603703
www.info.court.ge

საქმე №3/4650-13

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

26 ივნისი, 2014 წელი ქ.თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ნანა ჭიჭილეიშვილი
სხდომის მდივანი ნათია ფურელიანი

მოსარჩელე შპს „იბერია 2012"
დირექტორი აკაკი ჩხაიძე
წარმომადგენლები ირაკლი ბურჭულაძე, ანა ლევიძე

მოპასუხე ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური
წარმომადგენელი გიორგი დონაძე

მოპასუხე ქალაქ თბილისის მერია
წარმომადგენელი ბაგრატ ნერგაძე

დავის საგანი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი

1.სარჩელის მოთხოვნა

1.1. ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 22 ივლისის №000285 დადგენილება.

1.2. ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მერიის 2013 წლის 11 ნოემბრის №7568 განკარგულება.

2. მოპასუხეების პოზიცია:

2.1. მოპასუხე ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო, მხარი დაუჭირა შესაგებელს და განმარტა, რომ არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

2.2. მოპასუხე ქალაქ თბილისის მერიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

3. ფაქტობრივი გარემოებები:

3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

3.1.1. ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2013 წლის 18 ივნისს შპს ,,იბერია 2012''-ის მიმართ შედგენილ იქნა №000285 მითითება ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიერ 2012 წლის 13 დეკემბრის №451477 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევის ფაქტზე. მითითებით შპს ,,იბერია 2012'' ს დაევალა ქ. თბილისში, აკურის ქ№31-ში მშენებარე ობიექტის შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა, რისთვისაც განესაზღვრა 20 კალენდარული დღე. აღნიშნული მითითება ადრესატს ჩაბარდა 2013 წლის 22 ივნისს.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 18 ივნისის №000285 მითითება;
- საფოსტო გზავნილი.

3.1.2. ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2013 წლის 15 ივლისს შედგა შემოწმების აქტი №000285. შემოწმებით დადგინდა, რომ შპს ,,იბერია 2012''-ის მიერ 2013 წლის 18 ივნისის მითითება არ შესრულებულა. შემოწმების აქტი ადრესატს ჩაბარდა 2013 წლის 15 ივლისს ობიექტზე განთავსებით.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
- ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 15 ივლისის №000285 შემოწმების აქტი;
- ოქმი ადმინისტრაციული წარმოების მასალების ჩაბარების შესახებ.

3.1.3. შპს ,,იბერია 2012'', 2013 წლის 18 ივნისის №000285 მითითებისა და 2013 წლის 15 ივლისის №000285 შემოწმების აქტის საფუძველზე, პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის, ქ.თბილისის მერიის

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 22 ივლისის №000285 დადგენილებით, დაჯარიმდა 4 000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით. დადგენილება ადრესატს ჩაბარდა 2013 წლის 7 აგვისტოს ობიექტის სამშენებლო ღობეზე განთავსებით.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
- ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 22 ივლისის №000285 დადგენილება;
ოქმი ადმინისტრაციული წარმოების მასალების ჩაბარების შესახებ.

3.1.4. შპს ,,იბერია 2012"-ის დირექტორმა აკაკი ჩხაიძემ 2013 წლის 26 აგვისტოს №12/13238166-17 განცახდებით (ადმინისტრაციული საჩივრით) მიმართა ქ. თბილისის მერიას და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 22 ივლისის №000285 დადგენილების გასაჩივრების ვადის გაგრძელება. საქმის განხილვის ზეპირ მოსმენაზე საჩივრის ავტორმა დააზუსტა მოთხოვნა. კერძოდ, მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 22 ივლისის №000285 დადგენილების გათილად ცნობა.

ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 11 ნოემბრის №2568 განკარგულებით აკაკი ჩხაიძის 2013 წლის 26 აგვისტოს №12/13238166-17 ადმინისტრაციული საჩივარი დარჩა განუხილველად.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2013 წლის 26 აგვისტოს №12/13238166-17 განცახდება;
- ქ.თბილისის მერიის 2013 წლის 11 ნოემბრის №2568 განკარგულება.

4.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ შპს ,,იბერია 2012"-ის მიერ ქ. თბილისში, აკურას ქ№31-ში IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა განხორციელდა სსიპ თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიერ 2012 წლის 13 დეკემბრის №451477 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით. მითითებული გარემოებების უარმყოფელი მტკიცებულებები მოსარჩელეს არ წარმოუდგენია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად კი, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.
სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 15 ივლისის №000285 შემოწმების აქტი.

სამოტივაციო ნაწილი

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

საქმეში არსებული მასალებისა და მხარეთა ,ასსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ არ არსებობს შპს ,,იბერია 2011"-ის სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ,,დ" ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.
სასამართლო მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 22 ივლისის №000285 დადგენილება, ქალაქ თბილისის მერიის 2013 წლის 11 ნოემბრის №2568 განკარგულება შეიცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, რაც მათი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევის საფუძველს წარმოადგენს.

ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, დავის განხილვისას უნდა შეფასდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი

აქტის გამოცემის მომწესრიგებელ შესაბამის ნორმებთან, ასევე, სადავო სფეროს მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

6.2. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ხელმძღვანელობს ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით. მე-2 ნაწილის თანახმად კი, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო სამართალდარღვევის საქმის წარმოებას იწყებს დამრღვევის მიმართ მითითების გაცემით, გარდა ამ მუხლის 23-ე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
ამავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამოწმებს დამრღვევს, რაზედაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აისახება მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით, კერძოდ: ა) მითითება შესრულდა; ბ) მითითება არ შესრულდა; გ) მითითება არადროულად სრულდება. მე-9 ნაწილის თანახმად კი, თუ შემოწმების აქტში დაფიქსირებულია დარღვევა, აქტის საფუძველზე სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას: ა) დამრღვევის დაჯარიმების შესახებ.

სასამართლო ასევე მიუთითებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 45-ე მუხლის ა.გ. ქვეპუნქტს, რომლის თანახმად, სამშენებლო დოკუმენტაციითა და სამშენებლო რეგლამენტებით განსაზღვრული სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას: მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მეოთხე კლასის შენობა-ნაგებობისათვის – 4 000 ლარით.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2013 წლის 18 ივნისს მოსარჩელის მიმართ გამოცემული იქნა მითითება, რომლითაც შპს ,,იბერია 2012"-ს გასათვალისწინებლი დარღვევების აღმოსაფხვრისათვის განესაზღვრა 20 დღიანი ვადა. ასევე, დადგენილია, შპს ,,იბერია 2012"-ის მიერ მითითება არ შესრულებულა, რამაც, ზემოაღნიშნული ნორმების გათვალისწინებით, განაპირობა მისი დაჯარიმება 4000 ლარის ოდენობით.

6.3. მოსარჩელე ასევე ითხოვს ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 11 ნოემბრის განკარგულების ბათილად ცნობას. მითითებული განკარგულებით, საქართველოს

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე, განუხილველად იქნა დატოვებული შპს „იბერია 2012"-ის დირექტორის ადმინისტრაციული საჩივარი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს თუ გასულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის 22-ე ნაწილის თანახმად, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მიღებული დადგენილება (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 15 დღის განმავლობაში. ამავე მუხლის მე-19 ნაწილის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, თუ დადგენილებაში მითითებული მხარისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყების ან დადგენილების გაცნობა (პირადად ჩაბარებით) ვერ ხერხდება, გაცნობად ჩაითვლება მისი განთავსება მითითებაში, შემოწმების აქტში, უწყებაში ან დადგენილებაში აღნიშნული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე. თვალსაჩინო ადგილად ჩაითვლება მშენებლობის ტერიტორიის შემომსაზღვრელი უსაფრთხოების ღობე.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 22 ივლისის დადგენილება 2013 წლის 7 აგვისტოს განთავსდა სამშენებლო ობიექტის დროებით სამშენებლო ღობეზე, რაც, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის მე-19 ნაწილის „გ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობად. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „იბერია 2012"-ის დირექტორს აკაკი ჩხაიძეს 2013 წლის 22 ივლისის №000285 დადგენილებაზე ადმინისტრაციული საჩივარი ქ. თბილისის მერიაში უნდა წარედგინა დადგენილების გაცნობიდან 15 დღის ვადაში, რაც მის მიერ არ განხორციელებულა. აღნიშნულის კი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, წარმოადგენდა ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს.

სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 94-ე მუხლის მე-3 ნაწილს, რომლის თანახმად, გაშვებული ვადა უნდა აღდგეს, თუ დაინტერესებულმა მხარემ კანონით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი ვადა გაუშვა არაბრალეულად – დაუძლეველი ძალის, ავადმყოფობის, ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზით ან სხვა საპატიო მიზეზით. აღნიშნული ნორმა ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს

უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოს გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, თუ მომჩივანი დაასაბუთებს, რომ გასაჩივრების ვადის დარღვევა მისგან დამოუკიდებელი მიზეზით იყო გამოწვეული. შესაბამისად, მომჩივანმა უნდა დაასაბუთოს ის საპატიო მიზეზი, განსაკუთრებული ობიექტური გარემოებები, რომლის გამოც ვერ შეძლო კანონით დადგენილ ვადაში ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე საპატიო მიზეზად უთითებს იმ გარემოებას, რომ დარღვევის გამოსწორების, კერძოდ, წიოელი ხაზების კორექტირების მიზნით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობდა სარეგისტრაციო წარმოება, რომლის გაჭიანურებამ განაპირობა ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონმდებლობით დადგენილი ვადის გაშვება. სასამართლოს აზრით, აღნიშნული გარემოება არ შეიძლება ჩაითვალოს იმ გარემოებად, რომელიც საფუძველს მისცემდა ადმინისტრაციულ ორგანოს, მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, საპატიოდ მიეჩნია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის ვადის დარღვევა და არსებითად განეხილა საჩივარი.

6.4. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ, თუ ადმინისტრაციული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას.
სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლით, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. განსახილველ შემთხვევაში ადგილი არა აქვს მოთხოვნილი ნორმის მოთხოვნათა დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მათი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან. შესაბამისად, შპს „იბერია 2012"-ს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

7. საპროცესო ხარჯები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე 2 ნაწილის თანახმად, სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები დადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2, მე-12, 22-ე მუხლებით, საქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 55-ე, 243-ე, 244-ე, 248-ე, 249-ე, 364-ე, 367-ე, 369-ე მუხლებით,

გადაწყვიტა:

1. შპს ,,იბერია 2012''-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

3. მოსარჩლის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ჩაითვალოს ბიუჯეტში გადახდილად.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით თბილისის სააპელაციო სასამართლოში (მდებარე : ქ.თბილისი, გრ. როზაქიძის გამზ.#7ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (მდებარე : ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #ნ) 14 დღის ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემის მომენტიდან.

მოსამართლე ნანა ჭიჭილეიშვილი